ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 33

10 ივლისი,, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის კინომსახიობის ლიკა ქავჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტეხურის ქუჩისთვის ექიმ-ინფექციონისტის, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის 4 ა კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის შოთა ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, აკაკი ვასაძის ქუჩისთვის რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭების შეახებ;
7. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის რეჟისორისა და სცენარისტის დევი აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ;
8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მხასიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ;
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის იასონ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მიხეილ ბუხაიძის I შესახვევისთვის მეან-გინეკოლოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელისთვის თეიმურაზ ბოჭორიშვილის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის გიგო ხეჩუაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ;
13. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N82 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოთამ ზედგინიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაკლიანის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა მირზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
16. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, სერგი ცხაკაიას ქუჩის გაგრძელების შესახებ;
17. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის II შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის იუნკერ ლევან კანდელაკის სახელის მინიჭების შესახებ;
18. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ;
19. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ;
20. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში აფხაზეთის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
21. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელენე ახვლედიანის ხევისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
22. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის და მთამსვლელის მარინე უთმელიძის სახელების მინიჭების შესახებ;
23. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელების მინიჭების შესახებ;
24. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ცოლ-ქმრის მერი პაკელიანის და ალექსანდრე გამსახურდიას სახელების მინიჭების შესახებ;
25. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის და ჯავის II შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელის მინიჭების შესახებ;

26. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ეველინა თავაძის სახელის მინიჭების შესახებ;
27. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭების შესახებ;
28. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობის დუდუხანა წეროძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
29. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთისთვის ეროვნული მოძრაობის მონაწილის, უფლებადამცველ მარიკა ბაღდავაძის სახელის მინიჭების შესახებ;
30. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე გიორგი მიქაძის წერილი, რომლითაც ანსამბლ „ცისფერი ტრიო"-ს სოლისტები დავით აბესაძე და მალხაზ თავართქილაძე, ასევე ნანი ბრეგვაძე, ნუნუ დუღაშვილი, ნუნუ გაბუნია, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, ნიკოლოზ წულუკიძე, დუტა სხირტლაძე და სხვები ითხოვენ თბილისში ქუჩას მიენიჭოს მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელი. იგი პროფესიით ინჟინერი იყო. ძირითად საქმიანობასთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა ესტრადაზე. ის იყო ანსამბლ „ცისფერი ტრიო"-ს წევრი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი. თამაზ სეფერთელაძე ცხოვრობდა მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევის მონაკვეთთან. ტერიტორიის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევი და გასასვლელი წარმოადგენს ერთ გეოგრაფიულ ობიექტს, არ აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელები სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩიდან გასასვლელში მდებარე საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გადის უშუალოდ სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევზე, შესაბამისად მიზანშეწონილია შესახვევისა და გასასვლელის ერთ დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება.

მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს თამაზ სეფერთელაძის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის, რომლებიც ჩამოყალიბდა ერთ დამოუკიდებელ ქუჩად მიენიჭოს მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის კინომსახიობის ლიკა ქავჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მეორე საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მ/წლის 28 მაისს კომისიის ინიციატივით სხდომაზე განხილული იყო საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ლიკა ქავჟარაძის სახელის მინიჭების საკითხი. საკითხის შესწავლის პროცესში კონსულტაციები გაიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან, ინიციატივა გაზიარებული და მოწონებული იქნა რაიონის გამგეობის მიერ და გამოითქვა სრული მზაობა სკვერის მოწყობის ნაწილში მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს კინომსახიობის ლიკა ქავჟარაძის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტეხურის ქუჩისთვის ექიმ-ინფექციონისტის, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი განიხილა. კომისიაში შემოსულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ზურაბ ვადაჭკორიას წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ექიმ-ინფექციონისტის, აკადემიკოსის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელი.

ვლადიმერ ბახუტაშვილს სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვნის. მისი თაოსნობით 1991 წელს დაარსდა სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი. ვლადიმერ ბახუტაშვილის სამეცნიერო ინტერესები სხვადასხვა დროს მოიცავდა კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ისეთ დარგებს როგორიც არის ინფექტოლოგია, ვირუსოლიგია, იმუნოლოგია და იმუნორეაბილიტაცია, სამედიცინო ბიოტექნოლოგია. მის მიერ შექმნილმა პრეპარატმა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის განვითარებას, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი სამასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რამდენიმე სახის მედიკამენტის, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი პლაფერონის ავტორია.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დედაქალაქში არსებობდეს ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ტეხურის ქუჩას მიენიჭოს ექიმ-ინფექციონისტის, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის 4 ა კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის შოთა ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის თეა დარსანიას წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე ხათუნა ქარსელაძის განცხადებას, რომლითაც ითხოვს იოანე პეტრიწის 4 ა კორპუსთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს შოთა ქარსელაძის სახელი.

შოთა ქარსელაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სხვების დახმარებას მიუძღვნა, ახალგაზრდა კაცმა საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ გადაარჩინა 13 წლის გოგონა მდინარე მტკვარში დახრჩობას. მდინარე მტკვარში ადამიანის გადარჩენისას გამოვლენილი სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისთვის, განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პიროვნული მამაცობისთვის პრეზიდენტის განკარგულებით შოთა ქარსელაძე დაჯილდოვდა მედლით „სამოქალაქო თავდადებისთვის“ (სიკვდილის შემდეგ).

შოთა ქარსელაძე სიცოცხლის განმავლობაში ცხოვრობდა დიდ-დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. 4 ა კორპუსში, სკვერი, რომლის სახელდებაზეც მისი ოჯახის წევრები განცხადებაში მიუთითებენ მდებარეობს ხსენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ. საკითხი მხარდაჭერილია სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების მიერ.

საკითხის დამუშავებისას კონსულტაციები გაიმართა როგორც საბურთალოს რაიონის გამგებელთან, ასევე საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან.

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის 4 ა კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის შოთა ქარსელაძის სახელის მინიჭებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის 4 ა კორპუსთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს შოთა ქარსელაძის სახელი.

5. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მეხუთე საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯომარის გიორგი შავერზაშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის სახელი.

შალვა დავითაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, შალვა დავითაშვილი პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მისი ნაწარმოებები წარმატებულად სრულდება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

შალვა დავითაშვილი იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და თბილისის საპატიო მოქალაქე.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისში არსებობდეს შალვა დავითაშვილის სახელობის ქუჩა, იგი ცხოვრობდა კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე. ურბანული არეალის შესწავლისას ასევე გამოიკვეთა, რომ ვახტანგ გორგასლის ქუჩა, გარდა ძირითადი არეალისა, მოიცავს მასთან ქალაქგეგმარებით კავშირში არ მქონე ტერიტორიას, რომელიც გორგასლის ქუჩიდან ორთაჭალის ავტოსადგურის ტერიტორიის გავლით უკავშირდება გულუას ქუჩას. ხსენებული მონაკვეთის დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბების გარეშე ძირითად გორგასლის ქუჩაზე შეუძლებელი ხდება შენობა-ნაგებობების თანამედროვე სტანდარტების და კანონთან შესაბამისი ნუმერაციის პროცესის განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, აკაკი ვასაძის ქუჩისთვის რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭების შეახებ**
7. **ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის რეჟისორისა და სცენარისტის დევი აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ**
8. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მხასიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია კინორეჟისორის ელდარ შენგელაიას და კინომსახიობების მურმარ ჯინორიას, ზაზა კოლელიშვილის და დავით კვირცხალიას წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს რეჟისორისა და სცენარისტის დევი აბაშიძის სახელი.

2023 წლის 14 თებერვალს კომისიაში შემოსულია სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის დირექტორის თამაზ ჯაფარიძის წერილი, რომლითაც თეატრის დასის სახელით ითხოვს ქუჩას, სადაც მდებარეობს თეატრი (აკაკი ვასაძის ქუჩა) შეეცვალოს სახელი და ეწოდოს სანდრო ახმეტელის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა დევი აბაშიძის ბიოგრაფია.

დევი აბაშიძეს დიდი წვლილი მიუძღვნის ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში. 1957 წლიდან გარდაცვალებამდე ის მუშაობდა რეჟისორად კინოსტუდია ქართულ ფილმში. როგორც რეჟისორს გადაღებული აქვს ფილმები: „დიდოსტატის მარჯვენა“, „ჩაძირული ქალაქის მაძიებლები“, როგორც სცენარისტი მუშაობდა ფილმებზე: „ომი ყველასთვის ომია“, „ყვარყვარე“, „წითელი პატეფონი“ და როგორც მეორე რეჟისორი მუშაობდა ფილმებზე: „ნინო“, „ჭიაკოკონა“, „ალავერდობა“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“.

კომისიამ ასევე დაამუშავა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის წერილში მოყვანილი გარემოებები, შეისწავლა აკაკი ვასაძის ქუჩის გავრცელების არეალი და მისთვის სახელის მინიჭების ისტორია. გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი წარმოადგენს მნიშვნელოვან კულტურულ კერას, სანდრო ახმეტელის სახელობისაა ასევე ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მეტად დატვირთული მეტროსადგური, თეატრი და ხსენებული სადგური ერთობლიობაში წარმოადგენს ქალაქში ერთ-ერთ ძირითად ლოკაციას, შესაბამისად მიზანშეწონილია ქუჩას, სადაც თეატრი მდებარეობს ერქვას სანდრო ახმეტელის სახელი.

სანდრო ახმეტელის ქუჩა მდებარეობს კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და დიღმის ტყეპარკის მიმდებარედ, ქუჩისთვის რეჟისორ დევი აბაშიძის სახელის მინიჭების ინიციატივა თემატურობის გათვალისწინებით ასევე მხარდაჭერილია სტუდიის მიერ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით რამდენჯერმე მომართეს, როგორც წნორისწყლის, ასევე „დ“ ქუჩის მაცხოვრებლებმა და მოითხოვეს ქუჩის სახელწოდების ცვლილება და ნუმერაციის საკითხების მოწესრიგება. კომისიამ შეისწავლა ხსენებული არეალი, როგორც დადგინდა „დ“ ქუჩა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ქუჩას და უნდა ჩამოყალიბდეს ძირითად ქუჩასთან მდებარე შესახვევად. წნორისწყლის სახელის შესწავლისას დადგინდა, რომ წნორისწყალი იყო ჯერ რადიოსადგური, შემდგომ რკინიგის სადგური, რომლის შემოგარენშიც მოსახლეობის ზრდის შემდეგ, XIX საუკუნეში წარმოიქმნა წნორი, შესაბამისად ხსენებული სახელწოდება არ არის თბილისთან დაკავშირებული და დედაქალაქისთვის ავთენტური ტოპონიმი, ამდენად მისთვის სახელის გადარქმევა მიზანშეწონილია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხები.

ომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, აკაკი ვასაძის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელი, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორისა და სცენარისტის დევი აბაშიძის სახელი, ხოლო სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მხასიობის აკაკი ვასაძის სახელი.

9. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის იასონ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაცით, კომისიაში შემოსულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნათელა თურნავას წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველის, დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელისმომწერის იასონ ლორთქიფანიძის სახელი. იასონ ლორთქიფანიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვნის ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბებაში, რასაც დამოუკიდებლობის წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასევე, გამორჩეულია მისი ღვაწლი სხვა არაერთ ეროვნულ საქმეშიც. იასონ ლორთქიფანიძე იყო პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი კომისიის წევრი, ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; სწორედ მისი თაოსნობით მოიძიეს განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის ადგილსამყოფელი, რის შემდეგაც მისი ნეშტი სამშობლოს დაუბრუნდა.

იასონ ლორთქიფანიძის პირად არქივში დაცული მასალები, განსაკუთრებით ეპისტოლური მემკვიდრეობა, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოში საბანკო საქმის შესახებ.

კომისიამ შეარჩია სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩა და სკვერი.

ხსენებული გეოგრაფიული ობიექტები მდებარეობენ ეროვნული ბანკის კახეთის გზატკეცილთან არსებული ფულის საცავის მიმდებარედ და სახელდების საკითხი მხარდაჭერილია ბანკის ადმინისტრაციის მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის იასონ ლორთქიფანიძის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მიხეილ ბუხაიძის I შესახვევისთვის მეან-გინეკოლოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის წევრების წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს მეან-გინეკოლოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას სახელი.

პალიკო კინტრაია მთელი ცხოვრება ემსახურა მედიცინის ურთულეს დარგს- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას. მის მიერ თანაავტორებთან ერთად პირველად შემუშავებულ იქნა მშობიარობის დროს ნაყოფის პირდაპირი ელექტრო-კარდიოგრაფიის მეთოდი. გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო შრომა. მათ შორის 14 გამოგონება.

პალიკო კინტრაიას ჰქონდა არაერთი ჯილდო და პრემია, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1998 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ასევე მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

კომისიის წარმომადგენლები მუდმივად ახდენენ ქალაქში არსებული გზათა ქსელების შესწავლას, კონსულტაციებს გადიან დამისამართების საკითხებთან შემხებლობაში მყოფ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი ცვლილებების უზრუნველყოფა. ურბანული განაშენიანების პროცესის პარალელურად მიხეილ ბუხაიძის ქუჩის I შესახვევი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად. მომავალში ასევე მიზანშეწონილი იქნება მსჯელობა ასევე II შესახვევზე გარკვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, მიხეილ ბუხაიძის I შესახვევს, რომელიც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქუჩად მიენიჭოს მეან-გინეკოლოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას სახელი.

11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელისთვის თეიმურაზ ბოჭორიშვილის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ბ.მ.ა. „აფხაზეთი"-ის ამხანაგობის თავმჯდომარე თინა ნაჭყებიას განცხადება, რომლითაც თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელის კორპ. 4-ის მაცხოვრებლების სახელით ითხოვს მისამართის შეცვლას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. ზემოაღნიშნულ კორპუსთან შესასვლელი გზა დღეის მდგომარეობით არ წარმოადგენს გასასვლელს, ფიზიკურად გასასვლელი გზა არ არსებობს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე- ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელს მიენიჭოს თეიმურაზ ბოჭორიშვილის III ჩიხის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის გიგო ხეჩუაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა მეთორმეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, სადაც მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნაა გიგო ხეჩუაშვილის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია.

ასევე წერილში აღნიშნულია, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის გათვალისწინებით, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, რადგან გიგო ხეჩუაშვილის ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი-ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. ქუჩა ასევე იყოფა სხვადასხვა მიმარულების განტოტებებად და აქვს ერთგვაროვანი ქსელური ხასიათი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან, საკითხის და ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მონაკვეთი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს როგორც გიგო ხეჩუაშვილის I შესახვევი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გიგო ხეჩუაშვილის I შესახვევის სახელი.

13. **„ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N82 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას #06-წერილი, რომლითაც გვატყობინებს, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ანალიზით დგინდება-2013 წლის 26 აპრილის #42 დადგენილებასა და 2024 წლის 20 თებერვლის #82 განკარგულებაში მითითებული ინფორმაცია ჯვარისის ქუჩისა და ჯვარის I შესახვევის სახელწოდებების შესახებ შეუსაბამოა.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ 2013 წლის 26 აპრილის #42 დადგენილების მიხედვით ე.წ. „მუხიანი 2“-ის დასახლებაში, კერძოდ პირობითად 26 ქუჩას მიენიჭა ჯვარისის სახელი, ხოლო 2024 წლის 20 თებერვლის # 82 განკარგულების მიხედვით ე.წ. „მუხიანი 2“-ის დასახლებაში, სადაც ღების ქუჩის მონაკვეთს მიენიჭა ჯვარის I შესახვევის სახელი დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში ე.წ. „მუხიანი 2“-ის დასახლებაში ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის #82 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და

შეიცვალოს ყველა პუნქტსა და დანართზე (რუკაზე) არსებული ჩანაწერი „ჯვარის I შესახვევი“ ჩანაწერით „ჯვარისის I შესახვევი“.

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოთამ ზედგინიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დამადასტურებელ დოკუმენტს (ასეთის მოძიების შემთხვევაში)

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან არსებული გეოგრაფიული ობიექტი უსახელოა და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს იოთამ ზედგინიძის I ჩიხს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს იოთამ ზედგინიძის I ჩიხის სახელი.

15. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაკლიანის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა მირზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სამგორის რაიონის გამგებლის კახა სამხარაძის წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე ბაბკენ აკოპიანის განცხადებას, რომლითაც ითხოვს მიხეილ გახოკიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩის სახელდებას.

2023 წლის 9 ოქტომბერს კომისიაში შემოსულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის მოადგილის იგორ კოპალიანის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისში რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა მირზაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები. ტერიტორიის შესწავლის პროცესში კონსულტაციები გაიმართა სამისამართო სამსახურის უფროსთან, ნინო ბახიასთან აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კაკლიანის ქუჩასთან. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით უსახელო ქუჩა შესაძლებელია გაერთიანდეს კაკლის ქუჩის მონაკვეთთან და ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად. ქუჩასთან განვითარებულია ერთი ჩიხი. გეოგრაფიული ობიექტის ხსენებული კონფიგურაციით სახელდება იძლევა საკადასტრო ერთეულების თანამედროვე და კანონის შესაბამისი ნუმერაციის შესაძლებლობას.

კომისიამ შეისწავლა აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა მირზაშვილის საბრძოლო მოკვლევა. ის აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს ქალაქ სოხუმის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვის დროს ჟიული შარტავასთან ერთად აყვანილ იქნა ტყვედ და მას შემდეგ დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, კაკლიანის ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ერთ ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, კობა მირზაშვილის სახელი.

16. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, სერგი ცხაკაიას ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე დიმიტრი ჟამუტაშვილის განცხადება, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით ითხოვს გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ დიღომში, სერგი ცხაკაიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, გაგრძელდეს სერგი ცხაკაიას ქუჩა.

17. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის II შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის იუნკერ ლევან კანდელაკის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის, მთაწმინდის რაიონის გამგებლის დავით კირკიტაძის წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე იზა ჯავახიშვილის განცხადებას, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით ტაბახმელაში ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხსენებული განცხადების გარდა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან მაღალია მიმართვიანობა ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების მიერ, ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით. ურბანული განვითარების სააგენტოსთან კონსულტაციებისას გამოიკვეთა, რომ თბილისი-კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ შესაძლებელია ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისი გზათა ქსელის მომზადება და ეტაპობრივად სახელდება.

ვინაიდან ხსენებული ქუჩა უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს გასაბჭოების წინააღმდეგ მებრძოლი იუნკერების ხსოვნის მემორიალს და ქუჩების უმრავლესობას მინიჭებული აქვს იუნკერების სახელები კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სახელდების აღნიშნული პრაქტიკის შენარჩუნება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთვრამეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის II შესახვევს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ორ ჩიხს მიენიჭოს იუნკერ ლევან კანდელაკის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე გივი ვარდიძის განცხადება, რომლითაც წავკისში, მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთაწმინდის რაიონში, წავკისში, გაგრძელდეს არჯევან ანანიაშვილის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთვრამეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისში, გაგრძელდეს არჯევან ანანიაშვილის ქუჩა.

19. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე გივი ღამბაშიძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს დიდ ლილოში რაჭის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს რაჭის ქუჩის ჩიხს. ქუჩასთან განვითარებულია ორი უსახელო ჩიხი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩასთან არსებულ სამ უსახელო ჩიხს მიენიჭოს რაჭის სახელი

20. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში აფხაზეთის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც შპს ფაბრიკა ფონიჭალას წარმომადგენლის კონსტანტინე ბუაძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ ფონიჭალაში აფხაზეთის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში გაგრძელდეს აფხაზეთის ქუჩა.

21. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელენე ახვლედიანის ხევისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის ინიციატივით, ელენე ახვლედიანის ხევს მიზანშეწონილია მიენიჭოს მსახიობ თამარ სხირტლაძის სახელი. ხსენებული გეოგრაფიული ობიექტი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩას. აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ ასევე გვაქვს ელენე ახვლედიანის აღმართი და ქუჩა, ამდენად ცვლილება მიზანშეწონილია არაერთი გარემოების გათვალისწინებით.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ელენე ახვლედიანის ხევს მიენიჭოს მსახიობის თამარ სხირტლაძის ქუჩის სახელი.

22. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის ხელოვნებათმცოდნე ნადია

შალუტაშვილის და მთამსვლელის მარინე უთმელიძის სახელების მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, მახათას აღმართის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ადგილობრივი მაცხოვრებლების მომართვის საფუძველზე განახორციელა ახლადწარმოქმნილი უბნის გზათა ქსელის დაპროექტება, წარმოიქმნა ორი უსახელო ქუჩა და ერთი შესახვევი.

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ხსენებულ გეოგრაფიულ ობიექტებს მიენიჭოს ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის და მთამსვლელ მარინე უთმელიძის სახელები.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე ორ უსახელო ქუჩას და ერთ შესახვევს მიენიჭოს ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის და მთამსვლელის მარინე უთმელიძის სახელები .

23. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელების მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოცდამესამე საკითხი. კომისიას 2022 წლის 24 ოქტომბერს წარედგინა მოქალაქეთა ერთობლივი განცხადება, დიდ ლილოში, უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მოთხოვნით.

ხსენებული ტერიტორიის შესწავლისა და ქალაქგეგმარებითი ნახაზების მომზადების შემდეგ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელები.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელები.

24. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ცოლ-ქმრის მერი პაკელიანის და ალექსანდრე გამსახურდიას სახელების მინიჭების შესახებ**

25. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის და ჯავის II შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით 2023 წლის 30 ივლისს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას ერთობლივი განცხადებით მომართეს ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მაცხოვრებლებმა, ხსენებული ქუჩისთვის სახელის გადარქმევის მოთხოვნით, 2024 წლის 23 იანვარს კომისიაში ასევე შემოსულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის უფროსის, ნინო ბახიას 04-032402385-03 წერილი, კოკინაკის ქუჩაზე ნუმერაციის საჭიროებასთან დაკავშირებით.

კომისიამ დაამუშავა ხსენებული ტერიტორია, დადგინდა, რომ ვლადიმერ კოკინაკი იყო რუსი საბჭოთა მფრინავი, რომელსაც თბილისთან შემხებლობა არ აქვს. არეალის შესწავლისას ასევე გამოიკვეთა, რომ ქუჩა შედგება გეგმარებითი კავშირის არ მქონე რამდენიმე მონაკვეთისგან და მიზანშეწონილია მისი დაყოფა სამ დამოუკიდებელ ქუჩად.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის ორ მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ცოლ-ქმრის მერი პაკელიანის და ალექსანდრე გამსახურდიას სახელები.

ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთს, მასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს და ჯავის II შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელი.

26. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ეველინა თავაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება, რომლითაც ითხოვენ ნაძალადევის რაიონში ფეიქართა ქუჩისთვის ეველინა თავაძის სახელის მინიჭებას.

როგორც განმცხადებლები წერილში აღნიშნავენ, ეველინა თავაძემ სხვადასხვა წლებში არაერთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობის განმავლობაში ქალაქისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მრავალი პროექტის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. მიუსაფარ ბავშვთა სახლების მართვის საკითხებში განუზომელია მისი ღვაწლი.

ეველინა თავაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული შალის ფაბრიკას, მისი აქტიური მუშაობით დაპროექტდა დღეის მდგომარეობით ქალაქში ინდუსტრიულად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული - ფეიქართა ქუჩა. ხსენებული ქუჩისთვის ფეიქართა სახელის მინიჭებაც ეველინა თავაძის ინიციატივა იყო.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ფეიქართა ქუჩისთვის ეველინა თავაძის სახელის მინიჭების საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩას მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ეველინა თავაძის სახელი.

27. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხი შეეხება აკაკი ვასაძის ქუჩისთვის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭებას, აღნიშნული გადაწყვეტილებით ქუჩა, სადაც სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი მდებარეობს გახდება სანდრო ახმეტელის სახელობის. ხსენებული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი უსახელოა. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით მიზანშეწონილია ხსენებულ სკვერს მიენიჭოს სანდრო ახმეტელის მეუღლის, მსახიობ თამარ წულუკიძის სახელი.

თამარ წულუკიძეს მნიშვნელოვანი აღიარება გრიგოლ რობაქიძის "ლამარას" მიხედვით სანდრო ახმეტელის მიერ დადგმულ სპექტაკლში განსახიერებულმა როლმა მოუტანა. საბჭოთა ხელისუფლებამ სპექტაკლი ნაციონალური სულის მკაფიო გამოხატულებად მიიჩნია, თუმცა სანდრო ახმეტელმა მოთხოვნის მიუხედავად, სპექტაკლი სცენიდან არ მოხსნა. ბერიას უშუალო ბრძანების საფუძველზე, 1930 წელს რუსთაველის თეატრი საზღვარგარეთ გასტროლებზე აღარ გაუშვეს. თამარ წულუკიძისა და სანდრო ახმეტელის ოჯახი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა. საბჭოთა რეჟიმმა სანდრო ახმეტელთან ერთად მისი მეუღლე თამარ წულუკიძეც დააპატიმრა. 1937 წელს სანდრო ახმეტელს - დახვრეტა, ხოლო თამარ წულუკიძეს ათი წლით ციმბირში გადასახლება მიესაჯა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელი.

28. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობის დუდუხანა წერომის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით მ/წლის 6 მარტის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განხილული იქნა ქ. თბილისში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, დუდუხანა წეროძის სახელის მინიჭების შესაძლებლობა.

სამისამართო სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე, ნუმერაციის პროცესის მოწესრიგების მიზნით რეგულარულად ხორციელდება ისეთი გეოგრაფიული არეალების გამოკვეთა, სადაც ქუჩათა ქსელის ფაქტობრივ და გეგმარებით საჭიროებებთან შესაბამისობის გარეშე ვერ განხორციელდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართება.

მაქსიმ გორკის შესახვევი და ვეძათხევის ქუჩის შესახვევის მონაკვეთი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ ქუჩას,

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებული მონაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ქუჩას მიენიჭოს მსახიობის, დუდუხანა წეროძის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევს და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს მსახიობის დუდუხანა წეროძის ქუჩის სახელი.

29. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთისთვის ეროვნული მოძრაობის მონაწილის, უფლებადამცველ მარიკა ბაღდავაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, შემოსულია მოქ. ავთანდილ ანთიძის განცხადება, თბილისში ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის უფლებადამცველისა და დისიდენტის, მარიკა ბაღდავაძის სახელის მინიჭების თხოვნით.

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა მარიკა ბაღდავაძის ბიოგრაფია, იგი 1978 წლიდან აქტიურად ჩაება დისიდენტურ მოძრაობაში, მან მნიშვნეოვანი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. დისიდენტობის პირობებში ორჯერ მოხდა მისი პოლიტიკური მოტივებით გასამართლება და დაპატიმრება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მარიკა ბაღდავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესში.

ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩა მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას წმ. მელქისედეკ I ის ქუჩიდან გომარეთის ქუჩამდე. აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმის ქუჩა კვეთს ცოტნე დადიანის სახელობის ქუჩას, ასევე ცოტნე დადიანის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სარეკრეაციო სივრცეს და ეროსი მანჯგალაძის ქუჩას, რომელიც დადიანის ქუჩასთან შედარებით რელიეფურად განსხვავებულ სიმაღლეზე მდებარეობს და დადიანის ქუჩას ესაზღვრება გამწვანებული ფერდობით. ვინაიდან ცოტნე დადიანის ქუჩა ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო კვანძია, ასევე დადიანის ქუჩასთან არსებული სკვერი არ ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას და დადიანისა და მანჯგალაძის ქუჩების რელიეფური თავისებურება შეუძლებელს ხდის ლეჩხუმის ქუჩის ერთ გეოგრაფიულ ობიექტად არსებობას, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქუჩის დასაწყისი მონაკვეთისთვის (მელქისედეკ I ის ქუჩიდან სკვერამდე)

სახელის გადარქმევას. ლეჩხუმის ქუჩის ძირითადი ნაწილი, მანჯგალაძის კუთხიდან გომარეთის ქუჩამდე, დარჩება ლეჩხუმის სახელით.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მარიკა ბაღდავაძის სახელი.

30. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

თბილისის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების მიზნით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა ნატალია აზიანის ბიოგრაფიული მონაცემები.

დრამატურგი, მწერალი და პუბლიცისტი ნატალია აზიანი 1878 წელს გორში დაიბადა, პირველი პიესა 1897 წელს დაწერა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, ილიას დახმარებით პიესა მალევე დაიდგა თეატრის სცენაზე. კოტე მარჯანიშვილმა აზიანის პიესის მიხედვით, რუსთაველის თეატრში დადგა „დეზერტირკა“

ნატალია აზიანის მოღვაწეობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ასევე ქალ შემოქმედთან, კომპოზიტორ ვარინკა მაჭავარიანთან ერთად წამოწყებული ბრძოლა, საავტორო უფლებების დაცვისთვის.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ნატალია აზიანის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ნატალია აზიანის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე